**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

**მოსამართლეობის კანდიდატის** *ნათია მერაბიშვილის* **შეფასების შედეგი:**

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☑ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 18 | 20 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 17 | 20 |
| წერის უნარი | 18 | 20 |
| ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 14 | 15 |
| პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში | 13 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 3 | 5 |
| პროფესიული აქტივობები | 5 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 88 | 100 |

**სახელი, გვარი:** ბეთანია ბზარაძე

**თარიღი:** 29.04.2024 წ

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

## გიორგი გზობავა

„29“ **აპრილი, 2024 წ.** **ქ. თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ნათია მერაბიშვილის**

**შ ე ფ ა ს ე ბ ა**

**1. შეფასების პროცედურის შესახებ**:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის ღების მიზნით დარეგისტრირებული იქნა **ნათია მერაბიშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^2$ მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 24 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის-**ნათია მერაბიშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის“ $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, **ნათია მერაბიშვილი** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი), შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის $35^1$ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

## 1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **ნათია მერაბიშვილი** გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, შეუვალობით, პრინციპულობით და მოსამართლის მაღალი ნოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა დავალიანების გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები **ნათია მერაბიშვილის** პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. აგრეთვე, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად ასევე არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

**დასკვნა:** ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი-**ნათია მერაბიშვილი** **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

## 2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

### 2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

**ნათია მერაბიშვილი** სამოქალაქო სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი კარგად იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს, საპროცესო კანონმდებლობას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. შედარებით სუსტი ცოდნა გამოავლინა სისხლის სამართალსა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების, ასევე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის რიგი დებულებების კუთხით.

საჯარო მოსმენისას მან უმეტეს წილად გასცა სწორი, კვალიფიციური და კომპეტენტური პასუხები სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს, თუმცა ვერ უპასუხა რამოდენიმე შეკითხვას სისხლის სამართლის პროცესიდან და საერთაშორისო სამართლიდან.

**დასკვნა:** კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნათია მერაბიშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

### 2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

**ნათია მერაბიშვილს** აქვს პროფესიით მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება, ამასთან, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის მხოლოდ 12 წლიანი გამოცდილება. შესწავლილი დოკუმენტაციიდან და შეფასების მასალებიდან ირკვევა, რომ კანდიდატი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და აზრის დამაჯერებლად გადმოცემის უნარით.

მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში კანდიდატს შეძენილი აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება და მოსამართლისთვის აუცილებელი ქცევის უნარები. მას შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის თითქმის ყველა სფეროს ირგვლივ.

**<u>დასკვნა:</u>** სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნათია მერაბიშვილი** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

**<u>2.3. წერის უნარი</u>**

**ნათია მერაბიშვილის** მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი. კერძოდ, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ მას შეუძლია სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმა და მსჯელობისას აზრის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემა. მნიშვნელოვანია, ითქვას ისიც, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

მის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ნათლად და ადვილად იკითხება დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, ნაკლებად ხმარობს რთულ წინადადებებს, ზედმიწევნით სწორად და საგნობრივად იყენებს სამართლებრივ ნორმებს და სამართლებრივი ნორმების ანალიზს, რაც ამ დოკუმენტების მკითხველს საშუალებას აძლევს სწორად და მარტივად აღითქვას მათში განხილული სამართლებრივი საკითხები და ხელს უწყობს მისი მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემას და გაგებას. შესწავლილ დოკუმენტებში რაიმე მნიშვნელოვანი ან თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომა, რაც გავლენას იქონიებდა დოკუმენტის შინაარსზე, ან სწორად გაგებაზე, გამოვლენილი არ ყოფილა.

**<u>დასკვნა:</u>** წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნათია მერაბიშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

**<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>**

საჯარო მოსმენაზე **ნათია მერაბიშვილი** იყო მობილიზებული, მსჯელობდა არგუმენტირებულად, საკუთარ შეხედულებებს გადმოსცემდა ნათლად და გასაგებად კანდიდატს გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.

მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში კანდიდატს შეძენილი აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება და მოსამართლისთვის აუცილებელი ქცევის უნარები. მას შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს, მცირე გამონაკლისის გარდა, უმეტეს წილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

**<u>დასკვნა:</u>** ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნათია მერაბიშვილი** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

**<u>2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)</u>**

**ნათია მერაბიშვილი** გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, კვალიფიციურობით, პრინციპულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2021 წლის იანვრიდან - 2024 წლის იანვრამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, მის მიერ საქმეები განხილულია ვადის დაცვით 94%, ვადის დარღვევით 6%, გადაწყვეტილებები მომზადებულია ვადის დაცვით 60,4%, ვადის დარღვევით 39,6%.
გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 90,5%, შეცვლილი 9.5%

**<u>დასკვნა:</u>** პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნათია მერაბიშვილი** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

**<u>2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>**

**ნათია მერაბიშვილი** არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი.

**<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას</u>**

**<u>კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული პუნლიკაციების შესახებ, შეფაცების მომენტისთვის ინფორმაცია არ მოიპოვება.</u>**

**<u>საკვალიფიკაციო გამოცდები/სასწავლო კურსები:</u>**

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა
  - კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით (2005 წლის 18 ივნისი)
    ტესტირება: 78 ქულა
    წერითი გამოცდა 20 ქულა
  - კანდიდატს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა (2004 წლის 26 სექტემბერი).
  - ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა

- იუსტიციის უმაღლესი სკოლა
  - ნათია მერაბიშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-7 ჯგუფის კურსდამთავრებულია.
  - ჯგუფში დაიკავა მესამე ადგილი; საერთო საკვალიფიკაციო სიაში -5-ე

**<u>დასკვნა:</u>** აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნათია მერაბიშვილი** უნდა შეფასდეს 3 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

## 2.7. პროფესიული აქტივობა

მოცემული კრიტერიუმებით **ნათია მერაბიშვილი** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, კერძოდ:

**ნათია მერაბიშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:**

- 11-13 თებერვალი, 2022 წ. - ლიკანი (სასტუმრო ბორჯომი ლიკანი), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გამართული საპილოტე ტრენინგი - გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია;
- 1-3 აპრილი, 2022 წ. - კაჭრეთი, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის (GAC) მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გამართული სემინარი - „ევროპული აკრედიტაციის სისტემა, ცნობიერების ამაღლება მოსამართლეებისათვის";
- 6-8 მაისი, 2022 წ. - საირმე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ - საკანმომდებლო სიახლეების, ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვისა და ამ პრაქტიკაზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების სტანდარტების შემუშავებასთან გამართული სამუშაო შეხვედრა;
- 26 ივნისი, 2022 წ. - თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის სემინარი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები - სამოქალაქო/ ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება";
- 22-24 ივლისი, 2022 წ. - კახეთი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ გამართული სემინარი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა";
- 11-12 დეკემბერი, 2022 წ. - ყვარელი, USAID ეკონომიკური მმართველობის პროგრამისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამართული შეხვედრა - „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული შერჩეული თემების განხილვა";
- 24-26 მარტი, 2023 წ. - თელავი, სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის და ვესტმისტერის დემოკრატიის განვითარების (WFD) ფონდის მიერ გარემოსდაცვითი საკანომდებლო სიახლეების გაცნობის მიზნით გამართული სამუშაო შეხვედრა;
- 31 მარტი-2 აპრილი, 2023 წ. - ბათუმი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა;
- 28-30 ივნისი, 2023 წ. - კომპლექსი ლოპოტა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა.
- თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებეი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა 2020 წ.
- გადაწყვეტილების დასაბუთება ადმინისტრაციულ სამართალში - იუსტიციის უმაღლესი სკოლა 2019 წ.
- გადაწყვეტილების დასაბუთება ადმინისტრაციულ სამართალში - იუსტიციის უმაღლესი სკოლა 2019
- ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები - ზოგადი კურსი - USAID, PROLOGE - კანონის 2019 წ.
- პრეზენტაცია/ორატორული უნარები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა 2019 წ

- ბავშვთა უფლებათა კოდექსი - USAID, PROLOGE - კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში 2020 წ.

**<u>დასკვნა:</u>** პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნათია მერაბიშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ნათია მერაბიშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>88</u>** (ოთხმოცდა რვა) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი